პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი № 289 (12497) | სამშაბათი, 11 დეკემბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ლენინური გეზით — ახალი გამარჯვებებისაკენ!

სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია



სახელოვანი საქმეებით ამთავრებს ჩვენი სამშობლო შვიდწლედის მეოთხე წელს. გაჩაღებული მშენებლობის დღეებში საბჭოთა ადამიანები გულდაჯერებულად წყვეტენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანას. „სრული საფუძვლით შეგვიძლია ვთქვათ,—აღნიშნა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე, — რომ ჩვენი საქმეები წარმატებით მიდის და ლენინურ კურსს, რომელსაც პარტია ახორციელებს, კარგი შედეგები მოაქვს“.

გამარჯვებებიდან გამარჯვებისაკენ მიუძღვის ჩვენს ქვეყანას ლენინის დიადი პარტია!

10 დეკემბერს კრემლში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ. საბჭოთა პარლამენტის დეპუტატები შეუდგნენ შვიდწლედის მეხუთე წლის გეგმის განხილვას, რომელიც ახალი დიდი ნაბიჯი იქნება კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. ამ გეგმის მიღება საბჭოთა ადამიანებმა მიანდეს თავიანთ წარგზავნილებს — დეპუტატებს, რომლებიც 140 მილიონი ამომრჩევლის ნება-სურვილს გამოხატავენ. კრემლის დარბაზებში ერთმანეთს შეხვდნენ კოსმოსის განთქმული გმირები და ყამირის მხვნელ-მთესველნი, საზოგადო მოღვაწენი, მშენებლები. მაღაროელები, მწერლები, მეცნიერები — სხვადასხვა ეროვნების, პროფესიისა და ასაკის ადამიანები. ბევრი მათგანი სკკპ ისტორიულ XXII ყრილობის მონაწილე იყო, იღებდა პარტიის ახალ პროგრამას, რომელიც დღეს ხორციელდება.

სესიის მუშაობა გაეცისკროვნებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, რომლებიც აჩქარებენ ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმისაკენ. საბჭოთა ადამიანებს ეს გადაწყვეტილებანი მიაჩნიათ საბჭოთა სახელმწიფოს მართვის უკვდავი ლენინური იდეების განვითარებად იმ ეტაპზე, „როცა უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება არა პოლიტიკას, არამედ ეკონომიკას“.

* * *

დილის 10 საათზე დაიწყო პალატების ცალ-ცალკე სხდომები. კრემლის თეატრში შეიკრიბნენ კავშირის საბჭოს დეპუტატები. თავმჯდომარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ვ. სპირიდონოვი. ამავე დროს კრემლის დიდ სასახლეში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის ი. ვ. პეიჭევის თავმჯდომარეობით გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

კავშირის საბჭოს სხდომაზე მოისმინეს სამანდატო კომისიის მოხსენება ხუთ საარჩევნო ოლქში გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევის შესახებ. კავშირის საბჭომ ცნო რწმუნებანი ხუთი ახლად არჩეული დეპუტატისა. ესენი არიან: ვ. ი. პოლიაკოვი (მოსკოვის ოლქი), ა. პ. მარშალკინა (ომსკის ოლქი), ა. ა. ეპიშევი (790-ე საარჩევნო ოლქი), ვ. ი. ისაევი (ქ. ლენინგრადი), ი. ნ. შევიაკოვი (ნიკოლაევის ოლქი).

პალატების ცალ-ცალკე სხდომებზე ერთსულოვნად ამტკიცებენ სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მუშაობის დღის წესრიგსა და რეგლამენტს. სესია განიხილავს შემდეგ საკითხებს:

1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმა.

2. სსრ კავშირის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

4. თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა.

დილის 11 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ვ. სპირიდონოვი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. პ. პეიჭევი და მათი მოადგილენი. ლოჟებში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სსრ კავშირის მინისტრები.

დეპუტატები და სტუმრები მჭუხარე ტაშით ხვდებიან ამხანაგებს — ბ. ი. პოტრასოვს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, ა. ი. მიკოიანს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, ფ. ა. სუსლოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ვ. ვ. გრიშინს, ლ. ნ. ეფრემოვს, ვ. პ. მჟავანაძეს, პ. ნ. დემიჩევს, ლ. ფ. ილიჩევს, ვ. ი. კოლიასოვს, ა. პ. რუდაკოვს, ვ. ნ. ტიტოვს, ა. ნ. შელეპინს.

ლოჟებში არიან დიპლომატიური კორპუსის წევრები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მოხსენება — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმა — წაიკითხა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა ბ. ე. დიმშიცმა.

ახალი დიდი ნაბიჯი კომუნიზმის მშენებლობის გზაზე

ამხ. ბ. ე. დიმშიცის მოხსენება

სსრ კავშირის VI მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია, თქვა ამხ. ბ. ე. დიმშიცმა, შეიკრება დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მიჯნაზე, მას შემდეგ, რაც ეს-ეს არის დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი, რომელმაც განიხილა პარტიული, სახელმწიფოებრივი და სამეურნეო მშენებლობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

ოცი დღის შემდეგ გადას შვიდწლედის ოთხი წელი. ამ წლების შედეგები გვიჩვენებენ საბჭოთა ხალხის გმირული შრომის დიდ ნაყოფს, კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკის გამარჯვებას.

წელიწადი, რომელიც გავიდა სკკპ XXII ყრილობის შემდეგ, ისტორიაში შევა როგორც საბჭოთა ხალხის უმაგალითო შემოქმედებითი აღმავლობისა და მასობრივი შრომითი გმირობის წელი. თითოეულ საბჭოთა ადამიანს შეუძლია დღეს საამაყოთ თქვას, რომ კომუნიზმის მშენებლობის ლენინური პროგრამა, რომელიც ყრილობამ მიიღო, ყველა საბჭოთა ადამიანის მეცადინეობით ხორციელდება.

შვიდწლიანი გეგმით, აღნიშნა მომხსენებელმა, მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1959-1962 წლების განმავლობაში უნდა გადიდებულიყო 39 პროცენტით. ფაქტიურად იგი გადაიდა 45 პროცენტით. შვიდწლედის დავალებათა გადამეტებით ამ ხნის განმავლობაში წარმოებულია 28 მილიარდი მანეთის პროდუქცია. ჩვენი ქვეყანა გეგმის გადამეტებით მიიღებს დიდძალ თუჯს, ფოლადს, ნავთობს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ქსოვილს, ფეხსაცმელსა და სხვა პროდუქციას.

შვიდწლედის ოთხი წლის განმავლობაში ამუშავდა 3700-ზე მეტი ახალი მსხვილი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო და შეიქმნა მეტი საწარმოო სიმძლავრენი, ვიდრე ყველა ომამდელ ხუთწლედში. სახელმწიფო კაპიტალურმა დაბანდებამ სახალხო მეურნეობის, ყველა დარგში შეადგინა 107 მილიარდი მანეთი — 6 მილიარდი მანეთით იმაზე მეტი, რაც დასახული იყო.

შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებებს, რომლებიც პარტიამ მიიღო. ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით განხორციელდა გადედელი, უაღრესად რეგულეტიური გარდაქმნები მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობისა და მართვის სისტემაში. გადაჭრით აღიკვეთა მართვის უწყებრივ-ბიუროკრატიული მეთოდები, რომლებიც სტალინის პიროვნების კულტის პერიოდში შეიქმნა. პიროვნების კულტის დაგმობამ, პარტიული და სახელმწიფო მშენებლობის ლენინური ნორმების აღდგენამ შემოქმედებითი აღმავლობის ვითარება შექმნა პარტიასა და ჩვენს ქვეყანაში, აამაღლა მილიონობათ ადამიანის აქტივობა და ინიციატივა.

სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნა და განმტკიცება ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში, კოლეგიურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების შექმნა, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი საბჭოების უფლებათა გაფართოება — ყოველივე ეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღრმად მოფიქრებული გეზია იმისთვის, რომ გარდაქმნას სახალხო მეურნეობის მართვა სამეურნეო მშენებლობაში დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპების განვითარებისა და განმტკიცების საფუძველზე.

ჩვენი მრეწველობა მთლიანად კარგად მუშაობს, აღნიშნა ამხ. დიმშიცმა, მაგრამ ენერგიის, გაზის, სინთეზური ბოჭკოების, პლასტიკური მასების, მანქანათმშენებლობის მთელ რიგ სახეობათა პროდუქციისა და სახალხო მოხმარების ზოგიერთი საქონლის წარმოება ჩამორჩება შვიდწლედის დავალებებს.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ორი კვირის წინათ გაიმართა, განიხილა სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარებისა და სახალხო მეურნეობის პარტიულ ხელმძღვანელობის საკითხები. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ამ პლენუმზე მოცემულია სახალხო მეურნეობის ეკონომიური განვითარების, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ღრმა ყოველმხრივი ანალიზი. მოხსენებაში ლენინური პრინციპულობით ნაჩვენებია ჩვენი სოციალისტური სისტემის უდიდესი უპირატესობანი, აუთაცხელი რეზერვები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას აქვს, განსაზღვრულია ეკონომიკის შემდგომი ყველაზე ეფექტიანი განვითარებისა და სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ორგანიზაციული ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის გზები კომუნიზმის გამლილი მშენებლობის პირობებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა გააკრიტიკა საგეგმო ორგანოების მუშაობა და აღნიშნა, რომ საჭიროა ისეთი დაგეგმვა, რომ სახალხო მეურნეობის შესაძლებლობანი და რესურსები გამოვიყენოთ უფრო გონივრულად და ეკონომიურად, რომ პირველ ეტაპზე დავაყენოთ ის დარგები, რომლებიც ყველაზე პერსპექტიულია და რომლებიც მოგვაგებინებენ დროს კაპიტალიზმთან ეკონომიურ შეჯიბრებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებიც გამსჭვალულია ლენინური შემოქმედებითი სულისკვეთებით, ერთსულოვნად მოიწონა მთელმა საბჭოთა ხალხმა, ეს გადაწყვეტილებანი აღაფრთოვანებენ მას ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხმა 1962 წელს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ახალ აღმავლობას მიაღწია. გეგმით მთლიანი პროდუქციის მატება უნდა გადიდებულიყო 8,1 პროცენტით, ხოლო ფაქტიურად 9 პროცენტს გადაჰარბა. შეიქმნა და ათვისებულია ბევრი ახალ სახეობათა დიდმწარმოებლური მანქანა, მექანიზმები, აპარატები და ხელსაწყოები, დანერგილია ახალი, უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესები, ამაღლდა მექანიზაციის და ავტომატიზაციის დონე. ამავე დროს ჩვენი მრეწველობა ჯერ კიდევ ცოტას როდი უშვებს მოძველებულ მოწყობილობას, ხშირად ჭიანურდება ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა წარმოებაში, საკმაო ყურადღება არ ექცევა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა განსაკუთრებით ზრუნავენ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში მეტად არახელსაყრელი ამინდის პირობები იყო, წელს სერიოზული წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში. კერძოდ, მარცვლეულ წარმოებამ მიაღწია 9 მილიარდ ფუთს, ნაცვლად 1953 წლის 5 მილიარდი ფუთისა. ეს მიღწევები შედეგია ჩვენს პარტიის ცენტრალური კომიტეტის შორსმჭვრეტელური პოლიტიკისა ყამირი მიწების ათვისებაში, სათესი ფართობების სტრუქტურის ძირეულ გარდაქმნისა და სიმინდის ნათესების მნიშვნელოვან გაფართოებაში.

წელს, აღნიშნა მომხსენებელმა, ხორციელდება დიდი პროგრამა ახალ საწარმოო სიმძლავრეთა მატებისა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და ტრანსპორტზე. კაპიტალური დაბანდება სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო გეგმით შეადგენს 30,5 მილიარდ მანეთს. შარშანდელზე 8,5 პროცენტით მეტს. მოსალოდნელია, რომ ამუშავდება 20 პროცენტით მეტი ძირითადი ფონდები, ვიდრე გასულ წელს. მაგრამ საწარმოო სიმძლავრეთა ამოშავების გეგმით დაწესებული დავალებანი ბევრ დარგში არ შესრულებულა.

მომდინარე წელი აღინიშნა საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებით. დიდი მოცულობით ხორციელდება საბინაო, კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სასკოლო მშენებლობა. 1962 წელს მოსახლეობა მიიღებს 82 მილიონ კვადრატულ მეტრ ფართობს.

შვიდწლედის მეოთხე წელი იყო საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკური პროგრესის შემდგომი ყოველმხრივი განვითარების წელი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მოწინავე საბჭოთა მეცნიერების შესანიშნავი მიღწევების ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა საბჭოთა კოსმონავტების ა. ნიკოლაევისა და პ. პოპოვიჩის ისტორიაში უმაგალითო ჯგუფური გაფრენა კოსმოსური ხომალდებით „აღმოსავლეთი-3“ და „აღმოსავლეთი-4“.

ჩვენი მიღწევები უდავოდ დიდია. მაგრამ ჩვენ, როგორც პარტია გვასწავლის, ნათლად უნდა ვხედავდეთ, თუ რა უზარმაზარია ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები და შესაძლებლობები. ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის დიდმნიშვნელოვანი პირობაა არამწარმოებლური დანაკარგების გადაჭრით აღმოფხვრა, მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელება.

საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, თქვა ამხ. ბ. ე. დიმშიცმა, უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოაქვს სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის — შვიდწლედის მეხუთე წლის გეგმის პროექტი. ეს გეგმა შემუშავებულია სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებული პარტიის პროგრამის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და ნოემბრის (1962 წელი) პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

1963 წლის გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა:

საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურის შემდგომ სრულყოფას ქიმიური მრეწველობის, რადიოელექტრონიკისა და ელექტრონენერგეტიკის უპირატესი განვითარების გზით;

ყველაზე მწარმოებლური და სრულყოფილი მანქანებისა და მოწყობილობის წარმოებას;

სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებასა და ამ საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებას;

საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების დაჩქარებას, სახსრების კონცენტრაციას ასამუშავებელ ობიექტებზე და კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობის გადიდებას;

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომ გადიდებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებას და საცალო ვაჭრობის განვითარებას;

საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის მოცულობის გადიდებას.

გეგმაში გათვალისწინებულია ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებანი.

მრეწველობის დარგში დასახულია უფრო დიდი დავალებანი 1963 წლისათვის, ვიდრე შვიდწლიანი გეგმით არის გათვალისწინებული. მრეწველობას პროდუქციის მოცულობა დაახლოებით 7 მილიარდი მანეთით გადაჰარბებს შვიდწლედის დავალებას. სულ კი ხუთ წლიწადში წარმოებული იქნება მრეწველობის პროდუქცია 35 მილიარდი მანეთით მეტი ღირებულებისა, ვიდრე გათვალისწინებულია შვიდწლიანი გეგმით.

მრეწველობის იმ ძირითადი ფონდების წილი, რომლებიც ახლად ამოქმედდა ხუთი წლის განმავლობაში შეადგენს დაახლოებით 50 პროცენტს. ეს განსაკუთრებით ხელშემწყობ პირობებს შექმნის შრომის ნაყოფიერების შემდგომი აღმავლობისათვის.

წელს გაიზრდება ქიმიური მრეწველობის ყველა დარგის განვითარების ტემპი. კაპიტალური დაბანდება ამ დარგში

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ისინი, ვინც ქეგის ღირსნი არიან

ახალი ფლის მიჯნაზე

ზემეგმეიოტი ამერი, ქრამეიცი ქუთაისი. (საკ. კორ.). აგურის მექანიზებული ქარხნის კოლექტივმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა თერმეტი თვის სახელმწიფო გეგმა. განვლილ პერიოდში მშენებლებმა გეგმის ზევით მიიღეს 232 ათასი ცალი აგური და 196 ათასი ცალი კრამიტი. საწარმოს კოლექტივმა ასევე გადაჭარბებით შეასრულა კერამიკული ჭურჭლის გამოშვების დავალება.

გაეცნენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებს, მეაგურეებმა გადაწყვეტეს ვადაზე ათი დღით ადრე უპატაკოს მამდინარე წლის დავალების შესრულება.

რაციონალიზატორთა კონკურსი

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ტრესტის საწარმოებში გამოცხადებულია რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა დათვალიერება-კონკურსი. მისი მიზანია წარმოების ნოვატორთა შემოქმედებითი თაოსნობის შემდგომი გაშლა, წარმოების ახალი რეზერვების გამოვლინება.

დათვალიერება-კონკურსის ორგანიზებულად ჩატარებისათვის საწარმოებში შეიქმნა კომისიები.

კონკურსში გამარჯვებული კოლექტივისათვის დაწესებულია სამი ფულადი პრემია. პირველი პრემია 120 მანეთის, მეორე — 100 მანეთის და მესამე — 80 მანეთის ოდენობით.

საუკეთესო წინადადების ავტორებს მიეკუთვნება ჭიათურის მარგანეცის ტრესტის საუკეთესო რაციონალიზატორის ან გამომგონებლის სახელწოდება.

დაზოგილი მასალით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ალსანიშნავად თბილისის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის (დირექტორი ა. რობაქიძე) კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 5 დეკემბრისათვის შეასრულოს წლიური საწარმოო გეგმა. თავდადებული შრომით წარმოების კოლექტივმა პირობა გაანადგა და ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვას 17 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

საგულისხმოა, რომ საერთო პროდუქციის გეგმის შესრულებასთან ერთად წარმოების ყველა უბანზე გაწეულია მნიშვნელოვანი ეკონომია. გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 12 ათასი მანეთით შემცირდა, დაზოგილი მასალებით გამოშვებულია 3.500 წყვილი ფეხსაცმელი, შრომის ნაყოფიერება გადიდდა 5,8 პროცენტით, პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 0,2 პროცენტით. ყოველივე ამის შედეგად მიღებულია ზეგეგმითი დაგროვება და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეტანილია 9.800 მანეთი.

წარმოებაში მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელა კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც თ. ქართველიშვილი ხელმძღვანეულობს. ამ ბრიგადის ყოველდღიური შრომის მაჩვენებელი 125 პროცენტს აღემატება. მოწინავე ბრიგადას მხარდამხარ მიჰყვებიან ლ. კანკიას, გ. ავოიანის და გ. ტბაძის ბრიგადები, ცალკეულ დამკვრელებს შორის გამოირჩევიან შ. ყველაშვილი, მ. დემიდენკო, ე. გალუსტოვა, ლ. მათიაშვილი.

(საკ. კორ.).

უპატაკებენ სამუშაოს

თბილისის მეორე სატრიკოტაჟო ფაბრიკის (დირექტორი გ. თევზაძე) კოლექტივმა სამშობლოს წლიური გეგმის შესრულება 10 დეკემბრისათვის უპატაკა და ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე დამატებით კიდევ გამოუშვას 46 ათასი მანეთის პროდუქცია.

გონივრული და ყაირათიანი მუშაობის შედეგად ფაბრიკის კოლექტივმა განვლილ თერმეტ თვეში მკვეთრად გაუმჯობესა ეკონომიური მაჩვენებელები. ყოველი ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე ორი კაპიკით ნაკლები დაიხარჯა, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ამის შედეგად მიიღო ზეგეგმითი დაგროვება და დაგეგმილი ზარალი 44.500 მანეთი 800 მანეთამდე შეამცირა. პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გეგმასთან შედარებით 2,6 პროცენტით აამაღლა, ხოლო შრომის ნაყოფიერება გაზარდა 6,7 პროცენტით.

ამ ნაყოფიერ შრომაში ღირსეული წვლილი მიუძღვით კომუნისტური შრომის დამკვრელებს ვ. დოლიძეს, გ. ჭიჭინაძეს, ა. კრასკოვს, ვ. სინჯიკაშვილს და ი. ისაევრდოვას, რომლებიც დიდი ხანია 1963 წლის ანგარიშში მუშაობენ.

ზესტაფონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში შემავალმა საჩხერის საყოფან-საჩვენებელმა მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრა 20 დეკემბრამდე სახელმწიფოს მიჰყიდოს 50 ცენტნერი ხორცი და 260 ცენტნერი რძე.

მეურნეობის კოლექტივმა პირობა ვადამდე გაანადგა — სახელმწიფოს უკვე მიჰყიდა 65 ცენტნერზე მეტი ხორცი და 269 ცენტნერზე მეტი რძე.

მეურნეობაში მიღწეულს როდი სჯერდებიან. სახელმწიფოს ყოველდღე გეგმის ზევით აძლევენ ხორცსა და რძეს. („კომუნისტის“ კორ.).

სიღნაღის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვის გეგმა. ნაცვლად 3.250 ტონისა მიყიდულია 3.252 ტონა თამბაქო. (საქდესი).

ზრომის სწორად მოწყობის შედეგად მახარაძის რაიონის ურეკის ციტრუსებს საბჭოთა მეურნეობამ სასახელოდ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება — მოკრიფა და სახელმწიფოს მიჰყიდა 861 ტონა მანდარინი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 800 ტონისა.

მეურნეობის კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდოს 100 ტონაზე მეტი მანდარინის ნაყოფი. („კომუნისტის“ კორ.).

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ ბახვის მარკვის სახელობის კოლმეურნეობამ წარმატებით შეასრულა წველადობის წლიური დავალება. თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 2.604 კილოგრამი რძე, რასაც წლიური გეგმა ითვალისწინებდა.

უკეთესი მაჩვენებლები აქვს წარჩინებულ მწველავს შ. წულაძეს, რომელმაც თვითეულ ძროხაზე მიიღო 3.280 კილოგრამი რძე.

კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 20 ცენტნერით მეტი რძე, ვიდრე ამას ვალდებულება ითვალისწინებდა. ახლა ბახველი მეცხოველეები იბრძოლენ იმისთვის, რომ წლის ბოლომდე თვითეული ძროხის საშუალო წველადობა აიყვანონ სულ ცოტა 3 ათას კილოგრამამდე.

მანდარინის უხვი მოსავალი მოიყვანეს წელს ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს ხეთის საბჭოთა მეურნეობაში. მეციტრუსეებმა უკვე შეასრულეს წლიური გეგმა და ვალდებულება აიღეს დამატებით სახელმწიფოს მიჰყიდონ 40 ტონა ნაყოფი. **სურათზე:** მეურნეობის მუშა მ. შონია კრეფს მანდარინს.

ფოტო ბ. სოკოლოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

იოსიპ ბროზ ტიტო ვოლგოგრადს ჩავიდა

ვოლგოგრადი, 8 დეკემბერი. (საქდესი). დღეს მოსკოვიდან ვოლგოგრადს სპეციალური მატარებლით ჩამოვიდნენ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო მეუღლითურთ და იუგოსლავიის სხვა სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც ახლავან პრეზიდენტს საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს.

ამავე მატარებლით ვოლგოგრადს ჩამოვიდნენ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. კოჟიცა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრი ა. ი. აჯუბეი მეუღლითურთ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, საბჭოთა კავშირის ელჩი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში ა. მ. პუზანოვი მეუღლითურთ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი.

თანამშრომლობა, მეგობრობა

ვოსკოვი, 8 დეკემბერი. (საკდესი). 1962 წელს ერთ მილიარდ მანეთს შეადგენს საქონელბრუნვა პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. ეს მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე 1961 წელს, განაცხადა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს სავაჭრო მრჩეველმა ვაცლავ სენნიკმა. გუშინ ვაცლავ სენნიკმა ლექცია წაიკითხა საღამოზე, რომელიც საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოებამ მოაწყო.

1961-1965 წლების მოქმედი საბჭოთა კავშირ-პოლონეთის სავაჭრო შეთანხმება, — განაცხადა ვაცლავ სენნიკმა, — ყველაზე დიდი შეთანხმებაა, რომელიც კი ოდესმე დაუდვია პოლონეთს. მის საგარეო ვაჭრობას ბრუნვაში 1962 წელს საბჭოთა კავშირზე მოკა 33 პროცენტი.

ვაცლავ სენნიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის დაუხმარებლად პოლონეთი ასე სწრაფად ვერ განვითარდება თავის ინდუსტრიას. საბჭოთა კრედიტებით აშენებულ და აღდგენილ იქნა პოლონეთის ყველა უდიდესი სამრეწველო საწარმო. პოლონეთის რესპუბლიკამ ფართოდ გამოიყენა აგრეთვე თავისი მეგობრის ტექნიკური გამოცდილება. პოლონეთში არ არის ეკონომიკის ისეთი დარგი, რომლის სპეციალისტები არ გასცნობოდნენ სსრ კავშირის გამოცდილებას.

იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

რომი, 8 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა პლენუმი იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც იტალიის კომუნისტური პარტიის X ყრილობამ აირჩია. პლენუმმა შექმნა პარტიის ხელმძღვანელობა და სამდივნო.

იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივნად კვლავ არჩეულია პალმირო ტოლიატი, გენერალური მდივნის მოადგილედ — ლუჯი ლონგო.

ლომონოსოვის პრემიები

მოსკოვი. (საკდესი). ლომონოსოვის პრემიების კომიტეტმა აკადემიკოს დ. შჩერბაკოვის თავმჯდომარეობით ნახა და განიხილა 1961 წელს შექმნილი საუკეთესო მეცნიერულ-პოპულარული ფილმები.

პირველი ხარისხის პრემია მიენიჭა მოკლემეტრაჟიანი ფილმებისათვის „ლენინის ხელნაწერები“ და „პარტიის დრომა“ მოსკოვის მეცნიერულ-პოპულარული ფილმების კინოსტუდიას: სცენარისტს გ. ფრადკინს, რეჟისორს ფ. ტიაპკინს, სურათის „პარტიის დრომის“ ოპერატორს ო. სამუცევიჩს, ფილმის „ლენინის ხელნაწერების“ ოპერატორს ა. ფირსოვს, მხატვარ ფულტიპლიკატორს ე. ოსინას, ფილმების მეცნიერ კონსულტანტს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ნ. მატკოვსკის.

მეორე ხარისხის პრემია მიენიჭა ფილმისათვის „კვლავ ვარსკვლავებისაკენ“ ომაგე კინოსტუდიას: სცენარის ავტორს ვ. რიაბჩიკოვს, რეჟისორებს დ. ბოგოლეპოვს და გ. კოსენკოს, ოპერატორებს ვ. ავფანასიევს, დ. გასიუკს, ი. კასატკინს, ვ. სუვოროვს, ა. ფილიპოვს, მ. ბესონოვს, აგრეთვე სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავს გ. ტიტოვს, კოსმოსურ გადაღებათა ოპერატორს.

მოსკოვის მეცნიერულ-პოპულარული ფილმების კინოსტუდიას ფილმისათვის „ბუნების დიდი მადლი“ ლომონოსოვის მესამე პრემიით დაჯილდოებული არიან: სცენარის ავტორი ვ. კრეპსი, დამდგმელი რეჟისორი დ. ვარლამოვი, ოპერატორი ვ. კუზნეცოვი, დამდგმელი მხატვარი ლ. ჩიბისოვი, რეჟისორი — მულტიპლიკატორი ვ. მოლიოტი, მეცნიერი კონსულტანტი მ. კოლგანოვი.

მეგობრობის ერთი ფურცელი

სოხუმი. (საკ. კორ.). ქალაქის პიონერთა სახლში მოეწყო აფხაზეთის ჟურნალისტთა შეხვედრა ნიკოლაევის უკრაინული მუსიკ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ԱՌԱՋՆԱՅԻՆ ՀԱՄԱՐԻ ՀԱՄԱՐ ԱՆՑԿԱ ԵՎ ԱՆՀԱՅՏ ՄՆԱՑԻՆ ԱՌԱՋԻՆ ՏԱՐԻՆԵՐԸ

Հայկական առաջնությունը՝ 1963 թվականի հունվարի 1-ից մինչև դեկտեմբերի 31-ը։ Ակումբներ՝ «Դինամո» (Երևան), «Նարեկ» (Գորիս), «Արարատ» (Սարատով), «Ալեքսանդրապոլ» (Ալեքսանդրապոլ), «Ավանգարդ» (Ստեփանավան), «Ոսկեհատ» (Ոսկեհատ), «Ջրաշեն» (Ջրաշեն), «Մետալուրգ» (Ալավերդի), «Հանքագործ» (Կապան), «Ամրակալ» (Ամրակալ), «Սևան» (Գավառ), «Ծաղկաձոր» (Ծաղկաձոր), «Դարբնիս» (Դարբնիս), «Գեղարքունի» (Գեղարքունի), «Ջերմուկ» (Ջերմուկ), «Արարատ» (Արարատ), «Մասիս» (Մասիս), «Գեղանիստ» (Գեղանիստ), «Ոսկեվազ» (Ոսկեվազ), «Ամասիա» (Ամասիա), «Ալավերդի» (Ալավերդի), «Դիլիջան» (Դիլիջան), «Ղազանչի» (Ղազանչի), «Ավան» (Ավան), «Նոր Հաճն» (Նոր Հաճն), «Գանձակ» (Գանձակ), «Ռուբինա» (Ռուբինա), «Գորիս» (Գորիս), «Ալագյազ» (Ալագյազ), «Ամուրջ» (Ամուրջ), «Գարգար» (Գարգար), «Սարալանջ» (Սարալանջ), «Հրազդան» (Հրազդան), «Մարտունի» (Մարտունի), «Ծաղկանոց» (Ծաղկանոց), «Ջրվեժ» (Ջրվեժ), «Գետաշեն» (Գետաշեն

ლენინური გეზით — ახალი გამარჯვებებისაკენ!

(დასასრული)

რი დაბანდების მოცულობას, რაც მომავალი წლის გეგმით არის დაწესებული, საკმაებით უზრუნველყოფს ფინანსური რესურსები. ამ მიზნით და მშენებლობის საბრუნვი სახსრების მატების გათვალისწინებით გაშიაყოფა 33,8 მილიარდი მანეთი, აქედან ბიუჯეტის ხარჯზე — 20,4 მილიარდი მანეთი და საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებიდან — 13,4 მილიარდი მანეთი.

სსრ კავშირის 1963 წლის სახალხო სამეურნეო გეგმათა და სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მატერიალური და ფინანსური რესურსების შემდგომი კონცენტრაცია უმნიშვნელოვანეს ასამუშავებელ ობიექტებზე., დასახულია 4,3 პროცენტით შეკვირდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება. შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა შედეგად 1963 წელს თვითღირებულება უნდა შემცირდეს 1.3 პროცენტით. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამშენებლო ორგანიზაციათა მოგება 1,5 მილიარდი მანეთის ოდენობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა, პარტიელი, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებიანი ყურადღება მიაქცია ახსებთის ნაკლოვანებებს მშენებლობის ორგანიზაციისა და დაპროექტებაში, საჭიროა გადაჭრით მოეღოს ბოლო, როგორც მოითხოვენ ამას პარტია და მთავრობა, ფულადი სახსრების. მატერიალური რესურსებისა და მოშახელის დაქსაჭესას ყაპიტალურ მშენებლობაზე. დაპროექტების ხარჯები 1963 წელს შეადგენენ 900 მილიონ მანეთზე მეტს. მაგრამ დაპროექტების სახსრების ხარჯვაში დაშვებულია ანსებითი ნაკლოვანებანი. მთელ რიგ შემთხვევებში ასიგნებანი ხმარდება პროექტების დამზადებას, რომლებსაც შემდეგ არ იყენებენ. დაპროექტებაში ნაკლებად იყენებენ ტიპობრივ გადაწყვეტებს. ხშირად ამზადებენ დაბალი ხარისხის პროექტებს, რომლებიც არ შეესაბამებიან ტექნიკური განვითარების მიღწეულ დონეს და შეიცავენ მნიშვნელოვან ზედმეტობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ჩვენს ქვეყანაში საპროექტო საქმის ორგანიზაციის გარდაქმნის შესახებ ხელს შეუწყობს პროექტების ტექნიკური დონის ამაღლებას და ამ საფუძველზე კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობის ზრდას, მშენებლობის ღირებულების შემცირებას.

კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობის გადიდების უდიდესი რეზერვი იმ მოწყობილობის რაც შეიძლება მალე ამოქმედება, რომელსაც მშენებლობები იღებენ. მთავრობამ დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკისა და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაწილეობით შეამოწმოს დაუდგენელი მოწყობილობის რაოდენობა და შემადგენლობა მრეწველობის ყოველ დარგში და შეტანოს მისი ხელახალი განაწილების წინადადებანი. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა და სამინისტროებმა თავის მხრივ გულდასმით უნდა შეისწავლონ დაუდგენელი მოწყობილობის მარაგის მდგომარეობა და მიიღონ ღონისძიებანი მისი რაც შეიძლება სწრაფად გამოყენებისათვის.

კაპიტალური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებას, რომ გამოიყოს კაპიტალური მშენებლობა დამოუკიდებელ დარგად. ძირეულად გადაისინჯოს სსრ კავშირის სახმშენის ფუნქციები და დაეკისროს მას პასუხისმგებლობა კაპიტალური მშენებლობის განხორციელებისათვის. ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის მშენებლობის დარგში და სატიტულოსების დამტკიცებისათვის.

ახალი მიჯნებისაკენ სოფლის მეურნეობის განვითარებაში

პარტია და მთავრობა, ყველა საბჭოთა ადამიანი, განაგრძო ამბ. გარბუზოვმა, დაუცხრომლად ზრუნავენ სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო უდიდეს ფინანსურ დახმარებას უწევდნენ და უწევენ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების საქმეში. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სახელმწიფოს დამატებითი ხარჯების საერთო თანხა მარტო 1961-1962 წლებში შეადგენს 5,7 მილიარდ მანეთს.

სოფლის მეურნეობისა და დამზადების დაფინანსებისათვის 1963 წელს გამოიყოფა 9,7 მილიარდი მანეთი, აქედან ბიუჯეტის ხარჯზე — 5,6 მილიარდი მანეთი და საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებიდან — 4,1 მილიარდი მანეთი. სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილ სახელმწიფო სესხებთა მთელი თანხა 1962 წელთან შედარებით 17,8 პროცენტით გაიზრდება. მეცხოველობის სადგომების მშენებლობისა და მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციისათვის და სხვა ღონისძიებებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი კოლმეურნეობებს მისცემს გრძელვადიან კredიტებს 1.015 მილიონი მანეთის ოდენობით, ანუ 160 მილიონი მანეთით მეტს, ვიდრე 1962 წელს.

1963 წელს შემდგომ განვითარდება საბჭოთა მეურნეობები, რომელთა როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში ყოველ წელს იზრდება. საბჭოთა მეურნეობები იძლეიან ახლა სახელმწიფოს მიერ დამზადებული მარცვლეულის თითქმის ნახევარს და მეცხოველეობის პროდუქტების მესამედზე მეტს. საბჭოთა მეურნეობებს საჭიროებისათვის ბიუჯეტიდან და საკუთარი სახსრებიდან გამოიყოფა 5,7 მილიარდი მანეთი, 675 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს.

1963 წელს საბჭოთა მეურნეობების ფონდში მოგების ანარიცხები გადიდდება 331 მილიონ მანეთამდე, რაც 140 მილიონი მანეთით აღემატება 1962 წლის საგეგმო ანარიცხებს. მთავრობის დადგენილებით დაწესებულია, რომ საბჭოთა მეურნეობის ფონდში და მეურნეობის გამმტკიცებისა და გაფართოების ფონდში ჩარიცხული მოგება არ შეიძლება ხელახლა განაწილდეს სხვა საბჭოთა მეურნეობებს შორის ან ამოღებული იქნის რაიმე მიზნით.

სოფლის მეურნეობის მატერიალური ბაზის გამმტკიცებაში, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, დიდი მნიშვნელობა აქვს სრულიად საკავშირო გაერთიანებას „სოფლტექნიკას“. 1963 წელს „საკსოფლტექნიკის“ ორგანიზაციებმა სოფლის მეურნეობას უნდა მიაწოდონ 5,9 მილიარდი მანეთი საერთო თანხის მანქანები, სათადარიგო ნაწილები, სასუქები და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონელი, ანუ 10.5 პროცენტით მეტი, ვიდრე 1962 წელს,

საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი ზრდა

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტია მუდმივ ზრუნვას იჩენს საბჭოთა ვაჭრობის გაუმჯობესებისათვის, რომელიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ხალხის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. შვიდწლედის 4 წელიწადში საცალო საქონელბრუნვის მოცულობა თითქმის 32 პროცენტით გაიზრდება. 1963 წლის გეგმით იგი კიდევ 6,9 პროცენტით გადიდდება. საქონელბრუნვის ასეთი ზრდა ხელს შეუწყობს აგრეთვე ფულადი მიმოქცევის შემდგომ განმტკიცებას ჩვენს ქვეყანაში.

1963 წელს გათვალისწინებულია საჭირო სახსრები ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების შემდგომი გაფართოებისთვის. საქონელბრუნვის გაფართოებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ვაჭრობის საკუთარი სახსრები 446 მილიონი მანეთით გადიდდება. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მოკლევადიანი კredიტები გაიზრდება დაახლოებით 1,5 მილიარდი მანეთით და შეადგენს დაახლოებით 20 მილიარდ მანეთს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს, ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაცია ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად ვერ ასრულებს დაკისრებულ ამოცანებს, აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი მოსახლეობის მომსახურებაში. ბევრი ორგანიზაცია ამეტებს გეგმით დადგენილ მიმოქცევის ხარჯებს. ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის შექმნა შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ შევისწავლოთ მოსახლეობის მოთხოვნა საქონელზე, გავადიდოთ მრეწველობის პასუხისმგებლობა სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ასორტიმენტისათვის და ამით ხელი შეეშველოთ საბჭოთა ვაჭრობის შემდგომ გაუმჯობესებას.

უკანასკნელ ხანს შესამჩნევად ამაღლდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოსახმარების ფონდ; სამ წელიწადში ატელიეების, ბავშვთა ნაგებობების, სახელოსნოებისა და სხვა საყოფაცხოვრებო საწარმოთა რიცხვი 32 ათასით გაიზარდა და ამ საწარმოთა მუშაობის მოცულობა 1,3-ჯერ გადიდდა. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიიღეს დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას, ამას შესაბამისად, დაწყებული 1963 წლიდან, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მთელი მოგება მოხმარდება მათი სამუშაოების გაფართოებასა და გაუმჯობესებას. 1963 წლის გეგმით ეს მოგება შეადგენს 122 მილიონ მანეთს.

ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის

ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის ზრუნვა, განაცხადა მომხსენებელმა, ჩვენს პარტიას თავისი მოღვაწეობის უმაღლეს აზრად მიაჩნია.

სოციალისტური ეკონომიკის სწრაფი განვითარება და ეროვნული შემოსავლის ზრდა საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის სისტემატური ამაღლების მტკიცე საფუძველია.

ხალხს მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლებაში სულ უფრო დიდი როლი ეკუთვნით მოხმარების საზოგადოებრივ ფონდს. ყოველწლიურად ასახელმწიფო ბიუჯეტის უზარმაზარი სახსრები ხმარდება უფასო განათლებასა და სამედიცინო მომსახურებას, სოციალურ დაზღვევასა და სოციალურ უზრუნველყოფას. შვიდწლედის ოთხ წელიწადში ამ ხარჯებმა შეადგინა 100 მილიარდ მანეთზე მეტი და რამდენადმე გადააჭარბა შვიდწლიანი გეგმის განგაშრომებს. 1963 წლის ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებისათვის გათვალისწინებულია 31 მილიარდი მანეთი, აქედან:

	(მილიარდი მანეთი)	
	1962 წელი	1963 წელი
სახალხო განათლება, მეცნიერება და კულტურა	12,4	13,8
ჯანმრთელობის დაცვა და ფიზიკური კულტურა	5,0	5,2
სახელმწიფო და სოციალური დაზღვევა და უზრუნველყოფა	11,3	12,0

56 მილიონზე მეტი კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის მეოთხედი, ნაწილი სწავლობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, რომელთა შენახვაზე სახელმწიფო დიდ სახსრებს ხარჯავს. მარტო საყოველთაო სწავლების სკოლებისათვის 1963 წელს დაიხარჯება 4 მილიარდი მანეთი, ესე იგი ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1958 წელს.

1963 წელს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება მოიცავს 6,2 მილიონ კაცს, ანუ 55 პროცენტით მეტს, ვიდრე 1958 წელს. უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების შენახვისათვის და კადრების მომზადების სხვა ღონისძიებებისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 2,7 მილიარდი მანეთი, ანუ 6 პროცენტით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს.

პარტია და მთავრობა, თქვა ამბ. გარბუზოვმა, ემყარებიან ლენინის მითითებებს და ქმნიან საჭირო პირობებს საბჭოთა მეცნიერების ყველა დარგის სწრაფი აყვავებისათვის, სამეცნიერო კვლევით სამუშაოთა ხარჯები 1963 წელს 4,7 მილიარდ მანეთს მიაღწევს, რაც ერთიორად აღემატება 1958 წლის ხარჯებს.

იზრდება სახელმწიფო ასიგნებანი სახალხო ჯანმრთელობის დაცვისათვის.

სახელმწიფოს სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის განვითარებას 1963 წელს მოხმარდება 12 მილიარდი მანეთი.

კომუნისტური პარტია ზრუნავს მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის და შეუნელებელ ყურადღებას უთმობს საბინაო მშენებლობას, რომელსაც ბეუმარტად გარანდიზული გაქანება მიეცა. მას შემდეგ, რაც 1957 წელს გამოიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება საბინაო მშენებლობის შესახებ, ახალ ბინაში შესახლდა 75 მილიონი კაცი, ესე იგი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით მესამედი. 1963 წელს საბინაო მშენებლობისათვის სახელმწიფო გეგმით დაფინანსდება სახალხო მეურნეობის განვითარების მთელი ხარჯების 65,8 პროცენტი და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა მთელი ხარჯების 70 პროცენტზე მეტი.

თავდაცვისა და მმართველობის ხარჯები

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, ხაზგასმით აღნიშნა ამბ. გარბუზოვმა, ჩვენი სახელმწიფო იყო და არის აქტიური მებრძოლი მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. ამავე დროს მანამ პრაქტიკულად ~ არ გადაიჭრება საყოველთაო განიარაღების საკითხი, ჩვენი ქვეყანა იძულებულია გამოჰყოს ეროვნული შემოსავლის ნაწილი თავისი თავდაცვითი ძალიერების განსამტკიცებლად. 1963 წელს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში თავდაცვის ასიგნებანი გათვალისწინებულია 13,9 მილიარდი მანეთის ოდენობით, რაც ბიუჯეტის მთელი გასავლის 16,1 პროცენტს შეადგენს. ეს სახსრები უზრუნველყოფენ ჩვენი შეიარაღებული ძალების საბრძოლო ფონდზე შენახვას, ძალებისა, რომლებიც საიმედოდ იცავენ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შრომასა და სოციალისტური სამშობლოს უშიშროებას.

პარტია და მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ სახალხო მეურნეობის მართვის აპარატის სრულყოფისათვის, მისი რაოდენობის შემცირებისა და გაიაფებისათვის. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შენახვის ხარჯები 1963 წლის ბიუჯეტში. გათვალისწინებულია 1,1 მილიარდი მანეთის ოდენობით, რაც ბიუჯეტის მთელი გასავლის 1,3 პროცენტს შეადგენს. მომავალ წელს გათვალისწინებულია განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებანი, რათა შემცირდეს ადმინისტაციულ-სამმართველო აპარატის შტატები და შენახვის ხარჯები. ამ ორგანიზაციას, კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფას, სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დაცვას, იქნება დიდმნიშვნელოვანი ბერკეტი რეზერვების გამოვლინებისა და მობილიზაციისათვის სახალხო მეურნეობაში, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და სამმართველო აპარატის შემდგომ სრულყოფისათვის. საფინანსო, სავაჭრო [illegible] ახალი საკონტროლო ორგანოები [illegible] მიზანმიმართულ [illegible]

ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲔᲑᲘ

კომუნისტური პარტიის პროგრამა ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივ გაჯეიფოვრებას, განაგრძო მომხსენებელმა. რესპუბლიკის ბიუჯეტები 1955 წელთან შედარებით 1963 წელს სამჯერ და უფრო მეტად იზრდება, ხოლო მათი ხვედრითი წონა სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში 26,2 პროცენტიდან 54,9 პროცენტამდე დიდდება.

1963 წელი ახალი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის გზაზე. მოკავშირე რესპუბლიკათა 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები განსაზღვრულია 47,3 მილიარდი მანეთის ოდენობით, 1962 წელთან შედარებით იზრდება 2,5 მილიარდი მანეთით, ანუ 5,5 პროცენტით.

ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკათა მიზნედვით მომავალი წლის ბიუჯეტები ხასიათდება შემდეგი თანხებით:

	(მილიონი მანეთი)
რუსეთის სფსრ	27.808
უკრაინის სსრ	7.869
ბელორუსის სსრ	1.470
უზბეკეთის სსრ	1.361
აზერბაიჯანის სსრ	3.561
საქართველოს სსრ	802
აზერბაიჯანის სსრ	759
ლიტვის სსრ	628
მოლდავეთის სსრ	392
ლატვიის სსრ	523
ყირგიზეთის სსრ	453
ტაჯიკეთის სსრ	389
სომხეთის სსრ	471
თურქმენეთის სსრ	415
ესტონეთის სსრ	350

მოკავშირე რესპუბლიკებს დიდი როლი ეკუთვნით საფინანსო რესურსებით სახალხო მეურნეობის 1963 წლის გეგმის შესრულების უზრუნველყოფაში. მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტების მეშეობით დაფინანსდება სახალხო მეურნეობის განვითარების მთელი ხარჯების 65,8 პროცენტი და სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა მთელი ხარჯების 70 პროცენტზე მეტი.

მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტების მიხედვით გათვალისწინებული ხარჯები უზრუნველყოფილ იქნება საკუთარი შემოსავლით და საერთო საკავშირო შემოსავლის ანარიცხებით.

ამავამად, აღნიშნა მომხსენებელმა, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოკავშირე რესპუბლიკათა როლი სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის მობილიზაციაში. მთელი ბრუნვის გადასახადი და მოგების მთელი თანხის 80 პროცენტზე მეტი შემოდის მოკავშირე რესპუბლიკათა გამგებლობაში არსებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან. ამ პირობებში განსაკუთრებით იზრდება რესპუბლიკების პასუხისმგებლობა სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისათვის, მთელი შემოსავლის დროზე და სრული მიღებისათვის, სახსრების ეკონომიური ხარჯვისათვის.

1963 წლის ბიუჯეტთან ერთად, განაცხადა ამბ. გარბუზოვმა, მთავრობამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარმოადგინა ანგარიში იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულდა შემოსავლის ნაწილში 78.054 მილიონი მანეთის ოდენობით, გასავლის ნაწილში — 76.310 მილიონი მანეთის ოდენობით, შემოსავალმა გასავალს გადაამეტა 1.744 მილიონი მანეთით.

* * *

სსრ კავშირის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტმა, თქვა დასასრულ მომხსენებელმა, უნდა უზრუნველყოს საჭირო ფულადი სახსრებით ჩვენი ეკონომიკის სწრაფი განვითარება, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის შემდგომი გაუმჯობესება, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება. პარტიის XXII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება. სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის წარმტყობნი შესრულება საშუალებას მოგვცემენ აღიღოთ ახალი მიჯნები კომუნისტურ მშენებლობაში.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ, ჩვენი ქვეყანა შვიდწლეული მეხუთე წელიწადში შევა. განვლილი ოთხი წელიწადი აღინიშნა დიდი წარმატებებით ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის ახალი მძლავრი აღმავლობის ორგანიზაციისათვის, მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი აქტივობის გაძლიერებისათვის აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამართული ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებიც გულმხურვალედ და ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა ხალხმა. ამ გადაწყვეტილებებში ახსნილია პარტიის დაუცხრომელი საქმიანობა სახალხო მეურნეობის მართვის ლენინური პრინციპების აღდგენისა და განვითარებისათვის, ამომწურავი სისრულით არის განსაზღვრული სსრ კავშირის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების შემდგომი გზები.

ამის შესახებ ილაპარაკეს პალატების ცალ-ცალკე სხდომებზე საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ი. ს. სენინმა (კავშირის საბჭო), საბიუჯეტო და ეკონომიური კომისიების თავმჯდომარეებმა, დეპუტატებმა ბ. ა. იასნოვმა და ო. ი. იმაშჩინკომ (ეროვნებათა საბჭო), რომლებმაც თანამოხსენებანი გააკეთეს.

შემდეგ დაიწყო მოხსენებათა და თანამოხსენებათა განხილვა. კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: ბ. ა. როზენკო — უკრაინის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე, ტ. ი. კისელიოვი — ბელორუსის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მ. ვ. პოსოხინი — მოსკოვის მთავარი არქიტექტორი და სხვები.

11 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია განაგრძობს მუშაობას.

მშვიდოგიანი გზით...

ნიუ-იორკი, 8 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა გუშინდელ დღის სხდომაზე მოუსმინა კიდევ ორი დელეგაციის წარმომადგენლებს. კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საკითხზე. ჯერ ნინჩიჩმა (იუგოსლავია) კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ კოსმოსის თვისებაში საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა პრაქტიკულ სტადიაში შედის. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა გადაჭრას აგრეთვე სამართლებრივი საკითხები — მბალონ კოსმოსის შესასწავლად და ასათვისებლად სახელმწიფოთა საქმიანობის ზოგადი პრინციპები. ნინჩიჩმა იმედი გამოთქვა, რომ ამ საკითხზე შეშუშავდება ახალი დეკლარაცია. ასეთი იმედის საფუძველი, აღნიშნა მან, ის ფაქტია, რომ წინადადებანი ზოგადი პრინციპების შესახებ უკვე წარმოადგინა სამმა ქვეყანამ — სსრ კავშირმა. არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ და დიდმა ბრიტანეთმა.

გენერალური ასამბლეის XVII სესიაზე

ირანის დელეგატმა ვაქალმა თქვა, რომ ყველა დელეგატს დიდ იმედს აღუძრავს ის, რომ საბჭოთა კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება ითანამშრომლონ კოსმოსის მშვიდობიან ათვისებაში. ვაქალმა ხაზი გაუსვა, რომ ახლა საჭიროა რაც შეიძლება მალე შეთანხმდნენ კოსმოსის ასათვისებლად სახელმწიფოთა საქმიანობის ძირითადი სამართლებრივი პრინციპების შესახებ.

კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ საკითხის განხილვა მალე დამთავრდება. ორშაბათს დამთავრდება კამათი, ხოლო სამშაბათს კომიტეტი მიიღებს რეზოლუციის პროექტს კოსმოსის მშვიდობიანი ათვისების შესახებ.

ნიუ-იორკი, 8 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 7 დეკემბრის საღამოს პლენარულ სხდომაზე დაამთავრა განხილვა კვეკომიტეტის მოხსენებისა ანგოლის მდგომარეობის შესახებ. პორტუგალიემ ხელისუფლებმა ამ კვეკომიტეტს წევრები არ დაუშვეს ანგოლის ტერიტორიაზე და უარი თქვეს მათთან თანამშრომლობაზე.

მიუხედავად ამისა, მოხსენების ავტორებმა ლტოლვილთა გამოკითხვის საფუძველზე დასკვნეს, რომ მდგომარეობა ანგოლაში სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას, რადგან კოლონიური ომი შეიძლება გადაიზარდოს საერთაშორისო კონფლიქტად.

სამდღიან დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო 33 დელეგატმა.

სოციალისტური ქვეყნებისა და აფრიკის ბევრი ახალგაზრდა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ანგოლის ხალხის სისხლიანი ჩახშობისათვის პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პორტუგალიის ნატოელ მოკავშირეებს, რომლებიც იარაღს აწვდიდნენ პორტუგალიელ კოლონიზატორებს.

მალის, განისა და ბევრი სხვა სახელმწიფოს დელეგატებმა დაგმეს ნატოს ქვეყნები იმისათვის, რომ არღვევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის წინა სესიის რეზოლუციას, რომელიც მოუწოდებდა ყველა სახელმწიფოს არ გაეწიათ პორტუგალიისათვის რაიმე დახმარება, „რომელიც შეიძლებოდა მას გამოეყენებინა ანგოლის ხალხის დასათრგუნავად“.

კოლონიურმა სახელმწიფოებმა ვერ გაბედეს აშკარად დაეჭირათ მხარი პორტუგალიისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან. ისინი დუმდნენ მთელი დისკუსიის მანძილზე.

8 დეკემბრის დილის სხდომაზე ასამბლეა განიხილავს ამ საკითხის გამო რეზოლუციის ერთადერთ პროექტს, რომელიც შეიტანა კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ დეკლარაციის განხორციელების 17-ის კომიტეტმა. რეზოლუციის პროექტი ადასტურებს ანგოლის ხალხის თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უცილობელ უფლებას, გმობს პორტუგალიის კოლონიურ ომს ანგოლის ხალხის წინააღმდეგ, მოითხოვს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ყველა პოლიტიკური პატიმარი, გააუქმონ პოლიტიკური პარტიების აკრძალვა და დაიწყონ ფართო ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელისუფლების გადაცემას ანგოლის ხალხისათვის.

რეზოლუციის პროექტში აღნიშნულია, რომ თუ პორტუგალია არ შეასრულებს ამ რეკომენდაციებს, ასამბლეა სთხოვს უშიშროების საბჭოს მიიღოს ეკონომიური და პოლიტიკური სანქციები.

დელეგატთა დიდმა უმრავლესობამ თავიანთ გამოსვლებში მხარი დაუჭირა რეზოლუციის ამ პროექტს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲯᲜᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲔᲑᲘ ᲙᲐᲙᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ იტალიის ტელეფონის ქსელის 40 ათასმა მუშაკმა მოაწყო სრულიად იტალიის გაფიცვა. ისინი პროტესტს აცხადებდნენ იმის წინააღმდეგ, რომ ტელეფონის ქსელის ადმინისტრაციამ უარი თქვა დადოს ახალი საერთო ეროვნული კოლექტიური შრომითი შეთანხმება, რომელიც გაითვალისწინებს მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ᲞᲔᲠᲣ პერუს დედაქალაქ ლიმაში გრძელდება მშენებელთა გაფიცვა, რასთან დაკავშირებითაც შეწყდა მუშაობა ქალაქის ყველა მშენებლობაზე. დაახლოებით ერთი თვეა გაფიცული არიან კომპანია „გუდრიჩის“ სალტის ქარხნის მუშები. ეს კომპანია ამერიკელებს ეკუთვნით. მუშაობა შეწყვიტა სოფლის მეურნეობის 8000 მუშამ დაბა ვალიე დე კანეტაში. გაფიცვებმა მოიცვა პერუს მრავალი სხვა საწარმო. სულ გაფიცულია 25.000-მდე მუშა.

გაფიცულნი ყველგან მოითხოვენ ხელფასის მომატებასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ ქალაქ კრემსის მეტალურგიული ქარხნის მუშებმა მოაწყეს გამაფრთხილებელი გაფიცვა პროტესტის ნიშნად იმის წინააღმდეგ, რომ ადმინისტრაციამ განიზრახა წარმოების შემცირების საბაბით დაითხოვოს 200 მუშა. ქარხნის საწარმოო საბჭომ პროტესტი გამოუცხადა ქარხნების გაერთიანება ფესტის დირექტორს მუშების განზრახული დათხოვნის წინააღმდეგ. ამ გაერთიანებას ეკუთვნის კრემსის მეტალურგიული საწარმო.

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲘᲡ ᲓᲔᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ნიუ-იორკი, 8 დეკემბერი. (საკდესი). პორტუგალიის დიქტატორმა სალაზარმა გუშინ განაცხადა, რომ „პორტუგალია არასოდეს არ დაეთანხმება იმ იდეას, რომ დამოუკიდებლობა მიანიჭოს თავის საზღვარგარეთულ ტერატორიებს“. ამას იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ლისაბონიდან. „პორტუგალია, — იმუქრებოდა სალაზარი, — უყოყმანოდ გამოიყენებს მთელ თავის ძალებს, რათა ჩაანგრიოს ყოველი აჯანყება ჩრდილოეთ ანგოლაში ან პორტუგალიის რომელიმე სხვა ტერიტორიაზე“.

საკდესის კომენტატორი ა. ლასტოჩკინი წერს: სალაზარის ეს განცხადება უპირველესად ტაგზედფრი გამოსვლაა მსოფლიო საზოგადოებრიობის წინააღმდეგ. გაერთიანებული ერებს ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVII სესიამ ეს-ეს არის დაამთავრა ანგოლის მდგომარეობის გამომკვლევი ქვეკომიტეტის მოხსენების განხილვა.

ახლა, როცა საქმე ეხება იმას, რომ განხორციელდეს დეკოლონიზაციის კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო საბჭოთა მთავრობის წინადადებით, მთელი სამწუხაროთ ისახება ამოცანა — ბოლო მოეღოს თანამედროვე „მონების ნაკრძალს“, როგორც ეძახიან პორტუგალიის კოლონიებს აფრიკაში.

ამიტ

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝᲔᲑᲐ

რაᲰᲐᲑ საქართველოს უძველესი და უმშვენიერესი კუთხეა. მის მთაგოროან, მაგრამ ნაირფერად რელიეფზე მატერიალური კულტურის ბევრი უნიკალური ძეგლია მიმობნეული.

რად ღირს მარტო ჩვენი ეროვნული ხუროთმოძღვრების საკვირველება — ნიკორწმინდა, რომლის ნატიფი თაღები და ორნამენტები გალაკტიონის სწორუპოვარი გამოთქმით „ისე ნაგრნა, სიზმრის გეგონება“, ანდა თვალუწვდენელ მწვერვალზე ლაჟვარდ სივრცეში თეთრად ატყორცნილი მრავალძალის უძველესი ტაძარი, სადაც საუკუნეთა განმავლობაში ინახებოდა ჩვენი მიწა-წყლის მაოხრებლის, ბრძოლის ველზე ქართველთაგან ძლეული ხვარაზმის ხელთნის ჯალალ-დინის საომარი მუზარადი და შაჰ-აბაზის ძვირფასი თვლებით მოოქვილი ხმალი.

დიდძალი ციხე-გალავნები, მტრისაგან მიუვალ კლდე-ღრეებში დღემდე შემორჩენილი გამოკვეთილობანი, მღვიმეები და გვირაბები გვაფიქრებინებენ, რომ ჩვენი ერის ისტორიული შავბედობის წლებში არც ამ მხარეს ჰქონია მოსვენებული ცხოვრება. რაკის გულადი, მუყაითი და კეთილი მოსახლეობა თავის მოძმე ტომებთან ერთად ინახავდა შემოსეულ თუ შინაურ მტერთაგან თავს დატებილ უბედურებას. საყოველთაო განსაცდელის ჟამს გულხელდაკრეფილნი როდი ყოფილან რაკველი ვაქაცები, რომელნიც ვაზუშტის დახასიათებით თავიდანვე „არიან „აკაცნი ტანოვანნი, მხნენი, ბრძოლასა შემმართებელნი, ძლიერნი“.

ᲐᲛᲜᲘᲠᲐᲓ ჩვენი მიზანია, მკითხველის ყურადღება მივაპყროთ ერთ მეტად საინტერესო კლდეს, რომელიც სოფელ შქმერის (ონის რაიონი) ტერიტორიაზეა და რომელსაც ხალხი უხსოვარი დროიდან „თამარ დედოფლის კლდეს“ უწოდებს (არის გადმოცემა, თითქოს ხვანეთიდან მომავალი თამარი შქმერზე და მრავალძალზე გავლით ჯრუჭში გადასულიყოს).

მაღალ ალპურ ზონაში მდებარე ეს უსამაზესი სოფელი გამოჩენილ ისტორიკოს-გეოგრაფე ვახუშტის ასე აქვს აღწერილი: „ამ ორი წყლის შესართავს ქვეით არს შქმერი, დაბა, დიდი, უფენანთო, უხილო. მგზავსი სხვათა მთის ადგილთა და შვენიერ ზაფხულს ფრიად“. მაგრამ მარტო ვენახი და ხეხილი როდი ახარებს გულსა კაცისასა!.. რა შეიდრება ბუნების გრანდიოზულ სანახაობასს!.. განა ცათამდე აწვდილი მთებისა და ქედების სიდიადემ არ ათქმევინა უკვდავ ვეფას —

„თქვენგანა გულობს ეს გული,
შიგ გრძნობა უდღეს ტკბილანი,
თქვენი მიწოვად მეც ძუძუ,
ღალიან-ბარაქიანნი“.

დიახ, ბუნების სწორედ ასეთი დიადი ბარმონია დაუფლებია შქმერსაც.

მართლაც გასაოცარი მშვენება და სანახაობა ეშლება ადამიანს, როცა იგი შქმერის ყალთებზე შეაბიჯებს. ირგვლივ მდინარეების ხმაურს ერთვის ცის ტატნობზე მონავარდე ორბების ყაშაური, გაღმა-გამოღმა ბუჩქნარებში შეფარებული იადონების გალობა.

ბუნების უხილავი ხელით ერთმანეთზე მიყრილან მთა-გორები, მაგრამ ადამიანის გამჩჟე ხელს მათთვისაც უცვლია სახე. დღეს ავტომანქანები მიმოქრიან იქ, სადაც ჭარსულში ცხენით გავლა უჭირდა ლეგენდარულ ვაქაცს, შქმერელ ალდგომელასაც. წყვდიად ღამეს ელექტროლამპიონები ანირაღდნებენ; კოლმეურნეთა ოდა-სახლებიდან რადიოს ხმები იფრქვევა; ყველგან და ყველაფერში განახლებული ცხოვრება ჩქეფს.

ქვაგახეთქილა... უნდა ნახო, განიცადო ფოცხვრების აჭრელებული ფერდობებიდან ამომავალ მზის სხივთა ელვარებაში გაბვეული კოკასიონის მწვერვალები, რიონის ისედაც თვალწარმტაცი ხეობა. ნახავ და გრძნობ სრულ ესთეტიკურ ნეტარებას.

სწორედ ამ ქვაგახეთქილადან, რომლის ჯადოსნური სიდიადეც წარმოგვიდგინა დაუვიწყარი ივანე მაჩაბელის კალამმა, არცთუ ისე დაშორებით, სოფლების ბოყვისა და ქორთის თავზე, მოჩანს თამარ დედოფლის ფრიალო, თვალშეუდგამი კლდე.

ამ კლდისა და მასში ჩადგმული საყდრის რომანტიკული ლეგენდა უხსოვარი დროიდან ტრიალებს ხალხში. ეს ლეგენდა არც ჩვენს სასიკეთოდ ოპოტს აკაკის გამოპარვია და ერთ თავის უმშვენიერეს ლირიკულ შედევრში ასე შეუფერადებია იგი:

„ქვეყანამ ეთარს შვენებით
თამარი ამჯობინაო,
მიუვალ ადგილს, კლდის წვერზე
მას დაუნიშნა ბინაო!

... მივიდა, ბოყვს გაჩერდა,
სადაც ამბობენ თამარსო;
ძველ საყდარს დაკათქათებდა
სხივებს აფენდა მას გარსო“...

ᲮᲐᲚᲮᲨᲘ გავრცელებულ ზეპირგადმოცემას და ამ ლეგენდას, რომლის მოკლე შინაარსი პირველად ივ. მაჩაბელმა გააცნო მკითხველს, დიდი ინტერესი აღუძრავს ბოყველ გლეხ პეტრია ომანიძეში.

მას გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ენერგიული მზადება დაუწყია საოცნებო კლდის დასაპყრობად და ამ გზით თამარის საყდარში შესაღწევად.

როგორც ირკვევა, კლდეში ჩაშენებულ საყდართან დამაკავშირებელმა ბილიკმა დროთა განმავლობაში სრული დეფორმაცია განიცადა, რის გამო ამ საინტერესო ნაგებობის ხილვის შესაძლებლობა ყველას დაეხშო.

საჭირო შეიქნა ახალი გზის ძიება, და ეს ხანგლო საქმე მარჯვე თვალისა და მტკიცე გულის მქონე ვაუკაცმა პეტრია ომანიძემ იკისრა. ორი წლის განმავლობაში შან იშვიათი ნებისყოფით და შეუპოვრობით ჰკვეთა ეკალნარ კლდეზე საფეხურები და როგორც იქნა შეავიდა ლეგენდარულ საყდარში. როგორც გადმოგვცემენ, ომანიძე მეტად გულადი ვაქაცი ყოფილა, იგი ისე გავარჯიშებულა, რომ კლდეზე ძიმაგრებული საფეხურებით და მის მიერ გაკეთებული დასაკეცი კიბით ალპინისტის ვირტუოზობით ადიოდა ამ სახიფათო კლდეზე, მაშინ როცა სხვებს თვალის შევლებაც კი ურუანტელს მგვრიდა. პეტრიას სახელი შორს გავარდა; მისი კიბე საარაკო გახდა. საიდან არ აწყდებოდა ხალხი უცნაურ სანახაობას. იმდროინდელი ეურნალ-გაზეთები წერილებით აივსო, ახლა თვითონ პეტრია შეიქნა ლეგენდარული პიროვნება.

ივანე მაჩაბელი, რომელიც ამ ამბით დაინტერესებულა და უშეალოდაც შეხვედრია პეტრია ომანიძეს, წერს: „ამ უზარმაზარ კლდეზე კიბის გაკეთებას შესდგომია ერთი უბრალო რაკველი, ყოველდღე უზიდნია ამ ჯოჯოხეთის გზით საჭიდო და იარაღი, მშველელად და ნაქეზებლად მხოლოდ თავისი ცოლი ჰყოლია და მარტო რკინის კეტით აღჭურვილს დაუხვრეტია ეს კლდე.

უცნაური სანახავი უნდა ყოფილიყო ეს კაცი კიბის გაკეთების დროს, გაკრული ფრიალო კლდეზე, ძმიმე რკინის კეტით ხელში ამისთანა სიმაღლეზე, სადაც კაცის თვალი ძლივს ასწვდება“ („კვალი“, 1898 წ. № 4).

ამ საძნელო საქმეში ომანიძეს დიდ სტიმულს აძლევდა ხალხში გავრცელებული თქმულება, თითქოს ამ საყდარში თამარის კუბო და სხვა ძვირფასი ნივთები იყო გადამალული.

მაგრამ ომანიძემ კლდეში ვერ იპოვნა ის საოცნებო საუნჯე, რაც ხალხის გამალებულ ფანტაზიას ეხატებოდა.

ᲑᲝᲚᲝᲕᲔᲚᲘ მასწავლებლის ვლასი გოცირიძის გადმოცემით, რომელსაც კარგად ახსოვს პეტრიას შერკინება კლდესთან, უძველეს საყდარში მას მხოლოდ ხის აკვნის ნაწილები, ბრინჯაოს ჯვრები, შანდლები და თიხის დოქი დახვედრია.

იგივე გოცირიძე იგონებს, რომ 1903 წელს რამდენიმე პიროვნების თხოვნით პეტრია კლდის ერთ-ერთ გვირაბში შესულა და იქიდან ფერადი ქვები ჩამოუყრია. (ვინ იცის, ეს ფერადი ქვები რა ღირებულებას შეიცავს გეოლოგია-მინერალოგიის ან საშენი მასალის თვალსაზრისით!), თანაც ჩამოსვლისას განუცხადებია: „გვირაბში ძლიერი ქარი უბერავს, უკუნი ღამეა და ღრმად ვერ შევედიო“.

ᲨᲥᲛᲔᲠᲘᲡ კლდისა და მასში ჩაშენებული თამარის საყდრის გარეგანი აღწერა საგულდაგულოდ დაწერილ მხატვრულ ნარკვევში — „თამარის საყდარი“ უკვდავმა ივანე მაჩაბელმ დაგვიტოვა.

გენიალური შექსპირის უბადლო მთარგმნელი 1892 წლის ზაფხულში შქმერს სწვევია. მაჩაბელი საოცრად მოუხიბლავს ბუნების გრანდიოზულ სანახაობას. „გვინ, დოდა, — წერს იგი, — ჩვენი თვალითვე გვენახა და შეგვემოწმებინა, რაც გაგვეგონა ამ უცნაურ საყდარზე, იმ უშველებელ კლდეზე, რომელსაც თურმე ერთი საყდარი შვილსავით მიხუტებია და კიდევ უფრო უცნაურს „ინჟინერზედ“, უბრალო რაკველზედ, რომელსაც ამ კლდეზე უგზო-უკვლოდ დარჩენილ საყდრამდე კიბე უშენებია. გაგვიგონია, რომ რაკაში სოფელ შქმერსა და ბოყვას ახლო ფრიალო კლდის შუაგულში უალაგო ალაგას უხსოვარ დროიდან საყდარია აშენებული და ამ საყდრამდე ადამიანის შვილი ვერა გზით ვერ მიაღწევსო...

...მივაღწიეთ ქვაგახეთქილას, — განაგრძობს მწერალი, — საიდანაც უეცრად ისეთი სურათი წარმოგვიდგა თვალწინ, რომ გრძნობა-გონება დაგვიტყვევა.

აგერ ჩვენს გვერდით ხელ-მარჯვნივ უზარმაზარი განიერი ციცაბო კლდე აეყუდა... კლდე თითქოს განგებ შიგნი შეწეულა, პატარა მოედანი გაკეთებულა და ამ მოედანზე დგას საყდარი თამარისა, თეთრი ქვით აგებული. შუაში პატარა ოთხკუთხი ფანჯარაა დატანებული, ცოტა მოშორებით, საყდრის სისწორეზე მდგომეებია კლდეში. ახლაც ეტყობა ალაგალაგ ნაშთი ბილიკებისა, მაგრამ მომეტებული ნაწილი კი ისე კვალწმინდად არის ჩარეცხილი, რომ ვერას გზით კაცი ამ საყდარს ვერ მიუდგება“.

— რა ხელმა ააშენა ეს საყდარი და როდის არის აშენებული, არავინ იცის, — ასეთი კითხვით ეთხოვება ივ. მაჩაბელი მკითხველს და ეს კითხვა კითხვადვე რჩება.

დღემდე კვლავ ბურუსით არის მოცული ისტორია ამ ლეგენდარული საყდრისა და მის გარშემო არსებული მეტად საინტერესო მღვიმეებისა, რომელნიც ნამდვილად ხელოვნური ნაკვეთობანი უნდა იყონ. ეს აზრი შესაწყნარებელი და უურადსაღები უნდა გავხადოთ იმიტომაც, რომ ამავე ეპოქაში სავსებით ანალოგიური მოვლენას ვხვდებით შქმერიდან არცთუ ისე დაშორებით. ვახუშტის დამოწმებით: „ყვირილის ჩრდილოეთ კერძ კლდეზედ არს მღვიმე, კლდე დიდი გამოკვეთილი, და მას შინა მონასტერი უგზნბათონ, წითლის ბრწყინვალის ქვით შენი, კახბური რაჯის ერისთავისაგან აღშენებული. ქვაბსა შინა დის წყარო დიდი და კეთილი. ამ ყვირილის იქით და აქეთ კიდენი არს ფრიად მაღალი კლდე, და არიან მას შინა ქვაბნი მრავალნი, გამოკვეთილნი სახიზრად და შეუალი მტრისაგან, და საკურველ, თუ ვითარ უქმნიათ. და დადგა ესენიცა ყამსა ყრუსასა“.

ხომ შეიძლება ვიფიქროთ, შქმერის ეს გვირაბული ნაკვეთობანიც არაბების ბატონობის ხანაში იყოს გაკეთებული, ხოლო საყდარი იმავე კახაბერის მიერ ცოტა მოგვიანებით ჩაშენებული.

განა აფორიაქებულ ყამთა მემატიანეს ყველაფერი შეეძლო აღენუსხა! ანდა პეტრია ომანიძეს, კაცს უსწავლელსა და ერთგვარი ფანატიზმით შეპყრობილს, შეეძლო ისტორიული და მატერიალური კულტურის ასპექტით რაიმე დასაბუთებული და ღირებული აზრი გამოეთქვა აღებულ „ციხე-სიმაგრეზე“. პეტრია ხომ სიკვდილამდე დიდი საიდუმლოებით ინახავდა ყოველივეს! მაჩაბელიც ხომ ამას გვიდასტურებს, როცა წერს: „რას ეძებდა ეს კაცი იქ, ფრიალო კლდეზედ, თამარ მეფის გვამს, თუ ოქრო-ვერცხლის სიმდიდრეს, ჩვენ ვერ გავიგეთ; ვერც არაფერს იმის არეულ, ქაღაგის შესაფერ ლაპარაკიდან მივხვდიო“.

გასულ წლებში ქართველი ალპინისტების ერთმა ჯგუფმა მაღლიდან ჩამოშვების გზით, სცადა ამ კლდეში შეღწევა, მაგრამ კლდის ღრმა შეზნექილობის გამო ამ ცდას წარმატება არ მოჰყოლია.

შქმერის კლდეზე კვლავ უნდა მივიტანოთ ეერიში. ვინ იცის, რამდენი რამეა იქ საიდუმლოებით მოცული!

ს. სხირტლაძე.

ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲒᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘ

ᲐᲛ დღეებში მოსკოვის ტელემაყურებლებმა უკვე მეოთხედ ნახეს საქართველოს ტელევიზიის სპეციალური გამოშვება, რომელიც გადაცემულ იქნა მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიით. პროგრამა შინაარსობრივად და გემოვნებით იყო შერჩეული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტელევიზიის გადაცემას მოსკოვისა და მისი ოლქის მაყურებლებს გარდა გაეცნო ლენინგრადის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, კიევის, როსტოვისა და შორეული ჩრდილოეთის მილეთნობით მშრომელი.

თუ როგორ მიიღეს მოძმე რესპუბლიკებში მაყურებლებმა საქართველოს ტელემუშაკთა ნამუშევარი, ამას მოწმობს ტელესტუდიის სახელზე გამოგზავნილი უამრავი წერილი.

„მინდა მადლობა გადაგიხადოთ თქვენი შესანიშნავი გადაცემისათვის,— იწერება მოსკოველი დინა ბაბკინა, — თქვენი პროგრამა გამოირჩევა დახვეწილი გემოვნებითა და მადალი მხატვრულობით. მასალები ისეა შერჩეული, რომ მასში წარმოდგენილია ქართველი ხალხის სულიერი სიმდიდრე, მდიდარი კულტურა და ლირიკულობა, მხიარულობა და მსუბუქი იუმორი. სასურველია ასეთი გადაცემა კიდევ მოიწყოთ ჩვენთვის. კიდევ და კიდევ მადლობა“.

ასეთივე ბედნიერის წერილია გამოგზავნილი კიევიდან ბალუევების ოჯახიდან. „სწორედ ახლა დამთავრდა თქვენი გადაცემა და არ შემიძლია ახლავე არ შეგატყობინოთ ჩვენი აღტაცება. საერთოდ პროგრამა მოლიანად კარგი იყო, განსაკუთრებით მოგვეწონა „ოქროპირის“ გამოსვლა“.

მადლობის გრძნობაა გამოხატული უდმურტეთის ასსრ-დან გამოგზავნილ წერილში, მას ხელს აწერს სერეანტი ველტეხინი. „ჩვენ, ვინც ამ დღეს შორეულ ჩრდილოეთში ვუყურებდით თქვენს გადაცემას, განსაკუთრებით გაგახარა მზიური საქართველოს ხილვამ, მისი ხალხის კულტურასთან კიდევ ერთხელ შეხვედრამ“.

წერილები მოსულია რუსეთის სფსრ სხვადასხვა ქალაქებიდან — კურსკიდან, როსტოვიდან, კრასნოდარიდან, ვორონეჟიდან, აგრეთვე კიევიდან, დონეცკიდან, ვილნიუსიდან, მინსკიდან, რეჩიცადან და სხვ. წერილებს ხელს აწერენ მუშები, სტუდენტები, ექიმები, ინჟინრები, მოსწავლეები. ისინი თავიანთ ბარათებში იწონებენ არა მარტო პროგრამის ცალკეულ ნომრებს, არამედ აყენებენ თავიანთ წინადადებებს, ითხოვენ, რომ შემდგომ გადაცემებში გაითვალისწინონ მათი სურვილები.

მოსკოვის შემდეგ საქართველოს ტელესტუდიის გადაცემა უჩვენეს ალმა-ატაში. შუა აზიის რესპუბლიკების — უაზახეთისა და ყირგიზეთის მშრომელებს საშუალება მიეცათ გაესცნობოდნენ საქართველოს ტელემუშაკთა ნამუშევარს.

Ჯ. Ო. ᲙᲐᲙᲐᲣᲠᲘᲫᲔ

ᲫᲛᲘᲫᲔ და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, 1917 წლის ოქტომბრის მონაწილე, ... (პოლიკარპე) ოქროპირის-ძე კაკაურიძე.

ჯ. კაკაურიძე დაიბადა 1892 წელს წულუკიძის რაიონის სოფელ ბესიაურში, ღარიბი გლეხის ოჯახში. აქვე მიიღო პირველადწყებითი განათლება. სიღარიბემ და ხელმოკლეობამ სწავლის განგრძობის საშუალება არ მისცა, და 12 წლის ჯაბეკი ძმიმე ფიზიკურ შრომაში ჩაება.

1912-1913 წლებში ჯ. კაკაურიძე ქიაურის მაღარეებში მუშაობდა. აქ აქტიური მონაწილეობა მიიღო მუშათა გაფიცვებში.

1918 წელს ჯ. კაკაურიძე კვლავ მშობლიურ რაიონშია და აქტიურად მონაწილეობს შეიარაღებულ გაბრძოლებებში მენშევიკური ბატონობის წინააღმდეგ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჯ. ო. კაკაურიძე მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ მდებობაზე და დაკისრებულ მოვალეობას ყველგან პირნათლად, კომუნისტისათვის ჩვეული ენერგიით ასრულებდა.

მას დიდი ღვაწლი მუშაობდა სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობაში. იყო წულუკიძის რაიონის სოფელ ბესიაურში სასოფლო-სამეურნეო არტელის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორი და დიდხანს ხელმძღვანელობდა ამ კოლმეურნეობას.

1950 წლიდან ჯ. კაკაურიძე პერსონალური პენსიონერია.

რევოლუციონერის, გულისხმიერი შრომისმოყვარე და თავმდაბალი ამხანაგის ჯ. კაკაურიძის ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მისი ამხანაგების გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲢᲐᲚᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲢᲐᲚᲘᲡᲔᲑᲣᲠᲐᲓ

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ. 10 დეკემბერი. (საეკკორ.). ერთი დღის დასვენებამ მოკადრაკეები მეცამეტე ტურში მძაფრი ბრძოლისათვის განაწყო.

ტალისა და შიანოვსკის პარტიაში კომბინაციურ გართულებას, ახალი გართულება მოჰყვა. ტალი არ ერიდებოდა მსხვერპლს, ისწრაფოდა ეფექტური გამარჯვებისათვის, თუმცა, როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს არ აღმოჩნდა მართებული. ამის შემდეგ როლები შეიცვალა და ტალს ტალისებურად შიანოვსკი უტევდა. მსოფლიოს ექსჩემპიონის ბედი ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ციტნტოში შიანოვსკი შეცდა და მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ტიმანოვმა დაამარცხა ა. ზაიცევი, კროგიუსმა — მიკენასი, დანარჩენი პარტიები გადაიდო.

13 ტურის შემდეგ კორჩნოის 10 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ტალს — 9 ქულა.

ხვალ შედგება მე-14 ტური.

ᲤᲘᲜᲘᲨᲖᲔ დაუმარცხებელად მივიდნენ „ბურევესტნიკისა“ და „სპარტაკის“ თავისუფალი სტილით მოჭიდაკეები. ფაქტიურად ამ გუნდების ორთაბრძოლას უნდა გამოეკვლიოთ ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონი, პრიზის მფლობელი.

ეს ასპარეზობა შედგა გასულ კვირა-დღეს სპორტის სასახლეში. სტარტზე ბურევესტნიკელებს წარმატება არ ჰქონიათ — რევიშვილმა ქულებით წააგო კიშიევთან, ხოლო მომდევნო წონითს კატეგორიაში გაბსატაროვისა და მაშიევის შეხვედრა დამთავრდა ფრედ.

წონასწორობის აღდგენა ახლაც რუბაშვილს დაეკისრა. იგი ჩვეული აქტივობით, გაბედულად, შემტევი სტილით იბრძოდა, მაგრამ მეტოქე — რომანოვი მეტწილად ხალიჩიდან გარბოდა, ამიტომ მსაჯთა კოლეგიამ მოხსნა იგი და გამარჯვება რუბაშვილს მიაკუთვნა.

მსუბუქ და ქვესაშუალო წონაში „ბურევესტნიკის“ წარმომადგენლების ბერიაშვილისა და სალარაძის წინააღმდეგ იბრძოდნენ ჟურული და ბეკმურზოვი. პირველ წყვილში წმინდა გამარჯვება ბერიაშვილს ხვდა, მეორე შეხვედრაში ქულებით გაიმარჯვა სალარაძემ. საშუალო წონაში სპარტაკელი გობეჯიშვილი უფრო აქტიურად იბრძოდა ლეტუნის წინააღმდეგ და გამარჯვებაც მას მიეკუთვნა. ქვემძიმე წონაში „სპარტაკის“ გუნდს ხალიჩაზე სპორტსმენი არ გამოუყვანია, ამიტომ „ბურევესტნიკის“ წარმომადგენელს მაკლაკოვს გამარჯვება ჩაეწერა. მძიმე წონაში მედვედმა („ბურევესტნიკი“) ქულებით მოუგო პოპოვს.

ამრიგად, „ბურევესტნიკმა“ დაამარცხა „სპარტაკის“ გუნდი ანგარიშით 20:8.

ბურევესტნიკელებმა დასვენება ვერც კი მოასწრეს, რომ ისინი კვლავ გამოიძახეს საბრძოლველად, ამჯერად დინამოელთა წინააღმდეგ. რვა წონითი კატეგორიიდან ექვსში გაიმარჯვა „ბურევესტნიკმა“, ორში — დინამოელებმა.

ჩემპიონატის მატჩები ამოიწურა. „ბურევესტნიკის“ გუნდმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ო. რევიშვილი, ა. გაბსატაროვი, ვ. რუბაშვილი, ზ. ბერიაშვილი, გ. სალარაძე, ვ. ლეტუნი, ვ. მაკლაკოვი და ა. მედვედი, დაუმარცხებლად გაიარა პირველობის დისტანცია და სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს დინამოელებმა, მესამე — სპარტაკელებმა.

გამარჯვებულებს საზეიმოდ გადაეცა დიპლომები, პრიზი.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: სსრ კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში — „ბურევესტნიკის“ გუნდი. მარჯვნიდან — უფროსი მწვრთნელი ტ. სტეპანოვი, მოჭიდავეები — ა. გაბსატაროვი, ო. რევიშვილი, ვ. რუბაშვილი, გ. სალარაძე, ზ. ბერიაშვილი, ვ. ლეტუნი, ვ. მაკლაკოვი, ა. მედვედი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ“ — ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ᲑᲝᲚᲝᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲐᲛᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲛᲐᲯᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Დ. ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲐᲛᲐᲡ წინათ პენსიონერმა რკინიგზელმა ფარმანგი კიკნაძემ რკინიგზის რკვიის ბაქანზე ქალის საფულე იპოვნა. საფულეში 18 მანეთი, ქალის მაჯის საათი, რკინიგზის სამომსახურო ბილეთი და პირადობის მოწმობა აღმოჩნდა. ფ. კიკნაძემ მონახა საფულეს პატრონი და დანაკარგი დაუბრუნა.

* * *

ᲐᲛᲐᲡ წინათ ზუგდიდიდან მესტიამდე მიმავალ ავტობუსში, რომელსაც შაქრო გულბანი მართავდა, კავშირგაბმულობის მესტიის რაიკანტორის ფოსტის გამყოლს პეპეკო ჯაფარიძეს მანქანაში დარჩა ნაკრის საფოსტო განყოფილებიდან ჩაბარებული დაზღვეული ჩანთა, რომელიც მესტიის კავშირგაბმულობის რაიკანტორაში უნდა ჩაებარებინა.

მეორე დღეს მძღოლმა გულბანმა ავტობუსში იპოვნა დაკარგული ჩანთა, რომელშიც 831 მანეთი იყო, და ზუგდიდის რაიკანტორას ჩაბარა.

გ. ᲐᲚᲬᲘᲫᲐᲘᲐ.

* * *

სტუმრობიდან შინდაბრუნებული ელენკო აჭარაძე ერთბაშად ჩაფიქრდა და გაოცებით იკითხა:

— შვილებო, პალტო არ მომყოლია? — არა, — იყო პასუხი. მოხუცის წყენა გასაგები იყო: ძვირფასი პალტო, რომლის ჯიბეში აბრეშუმის ყელსახვევი და 50 მანეთი იდო, ავტობუსში დარჩა.

დიდხანს არ გასტანა მოხუცის მოწყენილობამ. საჩხერეგორისის ავტობუსის მძღოლმა უ. კირვალიძემ მალე სოფელ გორისას მიაშურა, შინ მიაკითხა ელენკოს და ავტობუსში დარჩენილი პალტო და სხვა ნივთები გადასცა.

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

ᲛᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. (საკკორ.). მოსკოვში გაიხსნა მ. ი. გლინკას სახელობის მუზეუმ-ბინა. ეს ახალგაზრდა მომღერალთა უდიდესი შეჯიბრებაა, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა. იგი არის კარგი „სასინჯი ქვა“ ბევრი ნიჭიერი მომღერლისათვის, ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელთა თავიანთ

Მ. Ი. ᲒᲚᲘᲜᲙᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

სკოლებში შემოკმედებითი ანგარიშია.

115 ბოკალისტი მონაწილეობს ახლანდელ კონკურსში. ისინი 14 მოკავშირე რესპუბლიკის (ყველა რესპუბლიკის, გარდა უზბეკეთისა) წარმომადგენლები არიან.

დღეს გაიმართა ეიფურის პირველი სხდომა.

ᲛᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, რომ 1962-1963 სასწავლო წელს დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტთა საგამოცდო-ლაბორატორიული შეკრება იწარმოებს შემდეგი განრიგით:

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

სატყეო-სამეურნეო სპეციალობის II და III კურსები — 7/I-დან 10/II-მდე,
აგრონომიული სპეციალობის IV, V და VI კურსები — 7/I-დან 16/II-მდე,

I ნაკადი
ს. ს. მექანიზაციის სპეციალობის IV, V და VI კურსები — 7/I-დან 16/II-მდე.
მებაღეობა-მევენახეობის სპეციალობის III კურსი — 7/I-დან 16/II-მდე.
ტექნოლოგიური სპეციალობის I და II კურსები — 18/II-დან 20/III-მდე.
მცენარეთა დაცვის სპეციალობის I, II და III კურსები — 18/II-დან 17/III-მდე.

II ნაკადი
მებაღეობის სპეციალობის I და II კურსები — 18/II-დან 17/III-მდე.
სატყეო-სამეურნეო სპეციალობის I, IV, V და VI კურსები — 18/II-დან 30/III-მდე.
მეაბრეშუმეობის სპეციალობის IV, V და VI კურსები — 18/II-დან 30/III-მდე.
აგრონომიული სპეციალობის I, II და III კურსები — 1/IV-დან 1/V-მდე.
მეაბრეშუმეობის სპეციალობის I, II და III კურსები — 1/IV-დან 1/V-მდე.

III ნაკადი
მცენარეთა დაცვის სპეციალობის IV, V და VI კურსები — 1/IV-დან 11/V-მდე.
ეკონომიკა-ორგანიზაციის სპეციალობის IV, V და VI კურსები — 1/IV-დან 11/V-მდე.
საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობის IV და V კურსები — 1/IV-დან 11/V-მდე.
მებაღეობის სპეციალობის VI კურსი — 1/IV-დან 11/V-მდე.
ეკონომიკა-ორგანიზაციის სპეციალობის I, II და III კურსები — 13/V-დან 9/VI-მდე.
საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობის I, II და III კურსები — 13/V-დან 9/VI-მდე.

IV ნაკადი
ს. ს. მექანიზაციის სპეციალობის I, II და III კურსები 13/V-დან 16/VI-მდე.
ტექნოლოგიური სპეციალობის III, IV და V კურსები — 13/V-დან 22/VI-მდე.
მებაღეობა-მევენახეობის სპეც. IV და V კურსები — 13/V-დან 22/VI-მდე.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: 1. სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებზე სტუდენტები გამოძახებული იქნებიან განსაკუთრებული განრიგით, რომელიც მათ ეცნობებათ სათანადო სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების მიერ. 2. სტუდენტი, რომელიც მომდევნო კურსის შეკრების დაწყებამდე ერთი თვით აღრე ვერ დახურავს წინა კურსის გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანს, გამოძახებული არ იქნება სალექციო-ლაბორატორიულ შეკრებაზე. 3. მომდევნო კურსის მოსასმენად გამოძახებული სტუდენტი, რომელიც არ წარმოადგენს სამუშაოდან ცნობას პროფილის მიხედვით, მეცადინეობაზე არ იქნება დაშვებული.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, რომ 1963 წლის 2-დან 10 იანვრამდე ქ. თბილისში მოეწყობა ზამთრის სასწავლო-საგამოცდო სესია. გასული სემესტრის აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტები დატოვებულ იქნებიან იმავე კურსზე ან გაირიცხებიან ინსტიტუტიდან.

საკონტროლო სამუშაოზე დადებ